საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №77/ნ
2018 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

სსიპ – ქალაქ რუსთავის №16 საჯარო სკოლისათვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების (სსმ, 112, 26/09/2005) დანართი №2-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ – სსიპ – ქალაქ რუსთავის №16 საჯარო სკოლას მიენიჭოს სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო პირის ექვთიმე თაყაიშვილის სახელი.

მუხლი 2

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ, 112, 26/09/2005) გათვალისწინებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების თავის მე-16 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

16	ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ რუსთავის №16 საჯარო სკოლა	მაიაკოვსკის ქ. №17	დაწ.საბ.საშ.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ქეთევან ნატრიაშვილი**